ეკა ჭყოიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

რეცენზია წიგნზე „ქალი ბიზანტიაში – კულტი და ხელოვნება“ (ბერძნულად „ΓΥΝΑΙΚΑ ΣΤΟ ΒΥΖΑΝΤΙΟ – ΛΑΤΡΕΙΑ ΚΑΙ ΤΕΧΝΗ“), ათენი 2012

სტატიების კრებული სათაურით „ქალი ბიზანტიაში – კულტი და ხელოვნება“ (ბერძნულად „Γυναίκα στο Βυζάντιο – Λατρεία και Τέχνη“) 2012 წელს გამოიცა ქ. ათენში. კრებულში შევიდა ქრისტიანულ-არქეოლოგიური საზოგადოების (Χριστιανική Αρχαιολογική Εταιρεία (ΧΑΕ) 26-ე სიმპოზიუმის* მოხსენებები, რომელიც აღნიშნულ თემას მიეძღვნა და გაიმართა ქ. ათენში 2006 წლის 12-14 მაისს. სტატიების რედაქტორია ცნობილი ბერძენი ხელოვნებათმცოდნე პროფ. მარია პანაიოტიდი-კესისოღლუ (Μαρία Παναγιωτίδη-Κεσίσογλου). შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ კრებული მიეძღვნა ცნობილ ბიზანტინოლოგ ქალს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს, ათენის აკადემიის წევრ-კორესპონდენტსა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ანგელიკი ლაიუს (Αγγελική Λαΐου (1941-2008). ის ამ კონფერენციის მთავარი მომხსენებელი იყო და ზოგადად მისი სამეცნიერო ინტერესები სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ბიზანტიაში ქალის როლისა და ადგილის განსაზღვრასაც მოიცავდა. კრებული სწორედ მისი ნაშრომების ჩამონათვალით იწყება (გვ. 9-10), რომლებიც ქალს ეძღვნება. შემთხვევითი არც ის ფაქტი უნდა იყოს, რომ კრებულის 17 ავტორიდან ყველა ქალია, ორის გარდა.

კრებულის პირველი პუბლიკაცია ანგელიკი ლაიუს ცნობილი სტატიის ბერძნული თარგმანია „ქალის ადგილი ბიზანტიურ საზოგადოებაში“ (გვ. 19-31), რომელიც 1981 წელს ინგლისურად გამოქვეყნდა ავსტრიის ბიზანტინოლოგიურ ჟურნალში (JOB). კრებული სამი ნაწილისგან შედგება: 1. მთავარი მომხსენებლებისა და ორი მრგვალი მაგიდის სტატიები. პირველი მრგვალი მაგიდის თემაა „სამოსი და ქალის თავის მოვლა-გალამაზება ბიზანტიაში“ (ბერძნულად: Ένδυση και καλλωπισμός της γυναίκας στο Βυζάντιο); 2. ქალების წვლილი ძეგლების დაარსებისა და ხელოვნების ნიმუშთა შეკვეთის საქმეში ბიზანტიაში (Εμπλοκή των γυναικών στην ίδρυση μνημείων και σε παραγγελίες έργων τέχνης στο Βυζάντιο).

პირველ განყოფილებაში, ანუ მთავარი მომხსენებლებში, ანგელიკი ლაიუს ზემოთ აღნიშნული სტატიის გარდა, წარმოდგენილია შემდეგი ავტორების ნაშრომები (გვ. 31-148): 1. ანგელიკი სტრატი „ღირსი მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების იკონოგრაფია – კომენტა-

* აღნიშნული საზოგადოება ტრადიციულ სიმპოზიუმს მართავს ყოველწლიურად მაისის თვეში ათენის ქრისტიანულ მუზეუმში. იხილე ამ საზოგადოების ვებგვერდი http://www.chae.gr/

რები და შენიშვნები“; 2. აპოსტოლოს მადასი „ქალების საოჯახო საქმიანობის ამსახველი სცენები ბიზანტიურ ხელოვნებაში“; 3. ევტერპე მარკი – ევანგელია ანგელკუ-მარია ხიმონოპულუ „ქალის თავის მოვლა-გალამაზება და სამოსი ძველქრისტიანულ სამყაროში“; 4. ქრისტინე სტეფანი-კაისისი „ორი ბიზანტიელი ქალბატონი და ლატომის მონასტრის აშენება თესალონიკეში (გერმანულად); 5. ელენი სარანდი „ქალი სპონსორი ადრებიზანტიურ ეპოქაში. ახალი იდეოლოგიური პროტოტიპის წარმოჩენა“; 6. ვასილიკი დიმიტროპულუ „რელიგიური მიზნით სპონსორობა და კომნენების საიმპერატორო ოჯახის ქალები“.

პირველი მრგვალი მაგიდის თემის ირგვლივ კრებულში შესაძლებელია შემდეგი სტატიების გაცნობა (გვ. 149-220): 1. ანასტასია დრანდაკი „სამკაულები და ქალის გალამაზების საშუალებები; 2. მელიტა ემანუილი „ქალის ვარცხნილობა ბიზანტიურ წლებში“; 3. პარი კალამარა „ბიზანტიური ქალის სამოსი“; 4 იოანა ბითა „ქალის სამოსი ფრანკების მმართველობის დროს“. ეს განყოფილება მთავრდება დისკუსიით (კითხვა-პასუხის ფორმატში, გვ. 203-213) და ბიბლიოგრაფიით (გვ. 215-219).

მეორე მრგვალი მაგიდის ფარგლებში წარმოდგენილია შემდეგი სტატიები (გვ. 222-279): 1. ქრისტინა ანგელიდი „ქალების ძღვენი ადრებიზანტიურ ეპოქაში“; 2. ტიტოს პაპამასტორაკისი „ქალების ძღვენი მე-8-11 საუკუნეებში“; 3. სოფია კალოპისის-ვერტი „ქალების ძღვენი გვიანბიზანტიურ პერიოდში“; 4. მარია პანაიოტიდი-კესისოღლუ „კომენტარები და შენიშვნები ქალების მიერ ძღვენის შეწირვასთან დაკავშირებულ ფენომენზე“. ამ განყოფილებასაც ახლავს დისკუსია (გვ. 269-273) და ბიბლიოგრაფია (გვ. 273-278). წიგნის ბოლოს განთავსებულია მოხსენებათა რეზიუმეები ინგლისურად (გვ. 279-გვ. 308) და მომხსენებელთა მოკლე ბიოგრაფიული შენიშვნა (გვ. 309-312).

კრებულის პოლიგრაფიული დონე მაღალია, რაც უზრუნველყოფს მასში გამოქვეყნებული დიდი რაოდენობით ფერადი ფოტოების ასევე მაღალ ხარისხს. კრებული ძირითადად ხელოვნებათმცოდნეებისა და ამ დარგით დაინტერესებული მკვლევრებისთვისაა განკუთვნილი, თუმცაღა, თავისი თემატიკიდან გამომდინარე მოიცავს ისეთ პოპულარულ საკითხებს როგორიცაა გენდერი, პოლიტიკა, ძალაუფლება, ესთეტიკა, მოდა შუა საუკუნეებში და ა.შ. „ქალი ბიზანტიაში“ ერთადერთი წიგნია, რომელიც ასე ვრცლად და კომპლექსურად ეხება ქალის როლს, ფუნქციასა და ესთეტიკას ბიზანტიურ და ზოგადად, ქრისტიანულ საზოგადოებაში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხით დაინტერესებული მკვლევრისთვის აუცილებლად მიგვაჩნია მისი გაცნობა და გამოყენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ავტორი შუა საუკუნეების განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალს იკვლევს.